პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

PGG III: ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის სტანდარტების განხორციელება

განხორციელების ვადა: 01.03.2023 - 28.02.2027

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 800 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Council of Europe

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/partnershipgovernance/, https://twitter.com/CoE_EU_PGG

პროექტის ვებსაიტები: partnership-governance-eu.coe.int/

პროექტის აღწერა:

რეგიონული პროექტი ხელს შეუწყობს იმ სისტემური ბარიერების წინააღმდეგ ბრძოლასა და აღმოფხვრას, რომლებსაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულებაზე წვდომისას. ეს მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე ინსტიტუციურ გამოწვევებს, ასევე სოციალურ-კულტურულ ბარიერებს, რომლებიც გენდერული მიკერძოების სახით ვლინდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მართლმსაჯულების სისტემებში.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის - მესამე ფაზის ფარგლებში. იგი ეყრდნობა ამავე პროგრამის პირველი და მეორე ფაზების შედეგებს, ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში (I ფაზა: 2015-2018; II ფაზა 2019-2023).

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტის მოსალოდნელი შედეგებია:

1. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სამართლის სფეროს სპეციალისტებისათვის მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის ბარიერების აღმოფხვრის გზების შესახებ ცოდნის მიწოდება, რათა მართლმსაჯულების ჯაჭვი გენდერულად უფრო მგრძნობიარე გახდეს.
2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სამართლის სკოლებისათვის მექანიზმების დანერგვა, გენდერულად უფრო მგრძნობიარე მართლმსაჯულების ჯაჭვის უზრუნველსაყოფად.
3. მოსამართლეთა სასწავლო დაწესებულებების რეგიონული ქსელის განვითარება, რათა მოიშალოს და აღმოიფხვრას ინსტიტუციური ბარიერები მართლმსაჯულების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე.
4. პარტნიორებთან მრავალმხრივი დიალოგის და ცნობიერების ამაღლების გზით ინდიკატორების ჩამოყალიბება, რომლებიც თავის მხრივ გამოყენებული იქნება მართლმსაჯულებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის ხარისხის შესაფასებლად.